სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 58

ქ. ფოთი

13 მაისი 2019 წ

ერთის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გივი ღვანიას სახით და მეორეს მხრივ შპს „კომპანია Geosem“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი დირექტორის თეიმურაზ ახობაძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მიწოდების ვადები:

1.1. ხელშეკრულების საგანია საქონლის შესყიდვა.
1.2. საქონელის დასახელება - ბაინდერი (CPV-22851000); საკანცელარიო ნივთები (CPV-30192000); სკრეპი ფეარდი (CPV-30197220); საკანცელარიო დანა (CPV-30197130); მაგიდის კალკულატორები (CPV-30141200); დაფის მაგნიტები (CPV-31630000); დაფის სამლელი (CPV-39292110); საქაღალდეები/ფაილები (CPV-22852000); წებო თხევადი (CPV-24910000); მაკრატელი (CPV-39241200); სახაზავები (CPV-39292500); ჩასანიშნი ფურცლები (CPV-30196200); სამკერდე ბეიჯი (CPV-35123400).
1.3. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2019 წლის 30 მაისამდე.

2. ხელშეკრულების ღირებულება:

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 328ლარი და 30თეთრი (სამას ოცდარვა ლარი და ოცდაათი თეთრი). (იხ. დანართი №1).

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, მიღება-ჩაბარებიდან აქტზე ხელმოწერისა და სასაქონლო ზედნადების (ან ანგარიშ-ფაქტურის) წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის საგნის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
4.2. საქონლის მიღება გაფორმდება სასაქონლო ზედნადებით ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით. ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი - ზურაბ ჯიქია.
4.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული პროდუქციის მიწოდების ნაწილის (ეტაპის) და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლებები-ვალდებულებები

5.1.შემსყიდველს უფლება აქვს:
მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული ყველა პირობის დაცვა.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

-მოსთხოვის შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
-დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აგვისტომდე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02 %-ს.
7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან ან ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თეა ზარგინავა (კოლეჯის შესყიდვების სპეციალისტი).

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესმყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.
9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგძლივობის და გამომწვევი მიზეზებიოს შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ უმოკლეს დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება.
12.2 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
12.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ყოველი მხარისათვის.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი“	შპს „კომპანია Geosm''
ს/კ 215101716	ს/კ 404 873 614
მის: ქ.ფოთი, კონსტიტუციის ქ. №54	მის: ქ. თბილისი, მ. ასათიანის ქ. 14
ბანკის დასახელება	ბანკის დასახელება
სახელმწიფო ხაზინა	სს „პროკრედიტ ბანკი“
საკუთარი სახსრები	საბანკო კოდი:
	MIBGGE22
	ანგარიშის ნომერი
	GE45PC0223600100010827
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:	დირექტორი:
/გივი ღვანია/	/თეიმურაზ ახობაძე/

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	კატეგორიის/ ქვეკატეგორიის/ კოდი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	2	3	4	5	6	7
1	ბაინდერი	22851000	ცალი	10	4.17	41.70
2	დაფის მარკერი	30192000	ცალი	26	0.59	15.34
3	მარკერი		ცალი	20	0.79	15.80
4	ფანქარი საშლელით		ცალი	12	0.20	2.40
5	ბურთულიანი ბალამი		ცალი	25	0.19	4.75
6	თითის დასასველებელი ბალიში		ცალი	2	1.09	2.18
7	ფანქრის სათლელი		ცალი	2	0.48	0.96
8	სკრეპი ფერადი	30197220	ცალი	2	0.89	1.78
9	საკანცელარიო დანა	30197130	ცალი	2	1.53	3.06
10	კალკულატორი	30141200	ცალი	10	8.31	83.10
11	დაფის მაგნიტები (6 ცალი)	31630000	ცალი	2	1.60	3.20
12	დაფის მაგნიტები (12 ცალი)			2	1.66	3.32
13	დაფის საშლელი	39292110	ცალი	7	7.31	51.17
14	ბაინდერის სწრაფჩამკერი	22852000	ცალი	70	0.23	16.10
15	ფაილი		ცალი	7	5.58	39.06
16	წებო თხევადი	24910000	ცალი	4	0.96	3.84
17	მაკრატელი	39241200	ცალი	3	2.19	6.57
18	სახაზავები	39292500	ცალი	1	0.92	0.92
19	ჩასანიშნი ფურცლები	30196200	ცალი	5	1.09	5.45
20	სამკერდე ბეიჯი	35123400	ცალი	15	1.84	27.60
					სულ ჯამი:	328.30

საქონლის საერთო ღირებულება - 328ლარი 30თეთრი (სამას ოცდარვა ლარი და ოცდაათი თეთრი).

„შემსყიდველი"

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი"

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

/გივი ღვანია/

„მიმწოდებელი"

შპს „კომპანია Geosm"

დირექტორი :

/თეიმურაზ ახობაძე/

ხელწერილი

(ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ)

ქ. ფოთი 13 მაისი 2019 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს ,,კომპანია Geosm''-ს მიმართ.

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ფაზისი“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /გივი ღვანია/

შესყიდვების სპეციალისტი: /თეა ზარგინავა/